სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

გიორგი გზირბავა

თარიღი: 07.12.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„7 “ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **დემეტრე ჯინჯოლიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **დემეტრე ჯინჯოლია.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **დემეტრე ჯინჯოლიას** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **დემეტრე ჯინჯოლია** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კომპეტენტურობით, პრინციპულობით, პატიოსნებით, გულწრფელობით, კორექტულობით და პუნქტუალურობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **დემეტრე ჯინჯოლიას** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ხუთი ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **დემეტრე ჯინჯოლია <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

დემეტრე ჯინჯოლია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 83/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სისხლის სამართალში* - დემეტრე ჯინჯოლიას, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *სამოქალაქო სამართალში* - მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის

გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციულ სამართალში* - დემეტრე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. დემეტრე არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილ ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, იგი სიღრმისეულად იცნობს ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის ცხრაწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში ობიექტურად და ყურადღებით განიხილოს, გააანალიზოს, შეაფასოს ნებისმიერი საკითხი, ფაქტი თუ მტკიცებულება. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი.

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის კვალიფიციურად გადმოცემის უნარი, შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

დემეტრე ჯინჯოლიას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. იყენებს დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, წერს ლაკონურად და მხარისათვის გასაგებ ენაზე. მან გამოავლინა წერის მაღალი კულტურა როგორც აკადემიური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს.

დასკვნა: წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

2.4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატს შეუძლია სტრესულ სიტუაციებში მუშაობა, გააჩნია გუნდური მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი, არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული და პუნქტუალური.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

დემეტრე ჯინჯოლია არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების უნარი, ის შეძენილ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით იყენებს.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

დემეტრე ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

დასკვნა: აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **დემეტრე ჯინჯოლიას** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი, ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი სისტემატურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიულ დისკუსიებში, ფორუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, კერძოდ:

- 18.11.2022 წ. - ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო;
- 28.11.2022 წ. - არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო;
- 05.12.2022 წ. - წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო;
- 01.02.2023 წ. - სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო;
- 05.05.2023 წ. - სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო;
- 2022 წლის სექტემბერი - 2023 წლის სექტემბერი - ტრენერთა ტრეინინგი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო;
- 27.11.2018 - 29.11.2018 წწ. - სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
- 18.11.2020 - 19.11.2020 წწ. - ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
- 25.09.2022 - 29.09.2022 წწ. - პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Prosecutors) რიგით 27-ე საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (ქ. თბილისი, საქართველო);
- 20.12.2022 - 21.12.2022 წწ. - კორუფციით მიღებული შემოსავლის ამოღების თაობაზე ექსპერტთა საერთაშორისო ფორუმი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, მონაწილე და მომხსენებელი, ინიციატორი - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), (ქ. ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა) და სხვა.

დემეტრე ჯინჯოლიას მიღებული აქვს სპეციალური წოდებები:

- უმცროსი იურისტი - 29.02.2016 (ბრძ.№120-მ);
- მესამე კლასის იურისტი - 01.03.2017 წ. (04.04.2017 წლის ბრძანება №34-მ §3);
- მეორე კლასის იურისტი - 01.03.2019 წ. (02.04.2019 წლის №47-გ §2);
- პირველი კლასის იურისტი - ვადამდე - 27.05.2021 წ. (ბრძანება №18 §33);
- იუსტიციის უმცროსი მრჩეველი - ვადამდე - 27.12.2022 წ. (ბრძანება №22 §5).

კანდიდატს ასევე მიღებული აქვს წახალისებები:

- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 19 მაისის №5 §16 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;

- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №22 §5 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა იუსტიციის უმცროსი მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №21 §157 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 28 დეკემბრის №34 §2 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 27 მაისის №18 §33 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 24 დეკემბრის №32 §126 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს მთავარი პროკურორის 2019 წლის 30 მაისის №7 §6 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **დემეტრე ჯინჯოლია <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 88 (ოთხმოცდა რვა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი